ფინანსური პრობლემები ქართულ საფეხბურთო კლუბებში

თიკო ნოზაძე

ფინანსური პრობლემები ქართულ ფეხბურთში ყოველთვის არსებობდა. მიუხედავად იმისა, რომ 2016-2023 წლებში, ფედერაციამ მილიონობით ლარი გამოყო საქართველოში ფეხბურთის განვითარებისა და დაფინანსების მიზნით, წამყვან კლუბებს ხელფასების გადახდა უჭირთ. ეს საფრთხეს უქმნის, როგორც ცალკეული კლუბების წინსვლას, ისე მთლიანად ეროვნული ლიგის მდგრადობას. მოთამაშეები პროტესტს აცხადებენ, ფედერაცია კი დუმს.

გასული წლის საფეხბურთო სეზონზე გავრცელდა ინფორმაცია, რომ საქართველოს ყველაზე ტიტულოვანი კლუბი, „დინამო თბილისი“, მძიმე ფინანსურ მდგომარეობაში იმყოფებოდა. დეტალური ინფორმაცია ინსტაგრამ გვერდ geo_team-მა გაავრცელა. 2023 წლის 29 დეკემბრის მონაცემებით, ფეხბურთელები 2 თვის ხელფასის მიღებას ელოდებოდნენ, თუმცა პროცესი კიდევ უფრო გაიწელა. კლუბის ხელმძღვანელობა მოთამაშეებს დავალიანების დაფარვას „უახლოეს მომავალში“ ჰპირდებოდა. დათქმულ დროში ფეხბურთელებმა თანხის მიღება ვერ შეძლეს. სამთვიანი უხელფასობის შემდეგ კი „დინამო თბილისის“ ფეხბურთელები პროტესტის ნიშნად თამაშზე არ გამოცხადებას განიხილავდნენ. სატრანსფერო სიახლეებმაც ფინანსური არამდგრადობის გამო დაიგვიანა.

„დინამო თბილისის“ შემდეგ გაირკვა, რომ ხელფასების მიღებასთან დაკავშირებული პრობლემა ქობულეთის საფეხბურთო კლუბ „შუქურაშიც“ მწვავედ იდგა. „შუქურას“ ფეხბურთელებს ორი თვის ხელფასი არ მიუღიათ, არ ჰქონდათ სავარჯიშო და სათამაშო რესურსები, რის გამოც კლუბი კიდევ უფრო დიდი საფრთხის წინაშე დგებოდა. 2023 წლის 24 ნოემბერს ჩასატარებელ თამაშზე გასვლას ვერ ახერხებდა „შუქურა“, რაც მათი ჩემპიონატზე დარჩენის ბედს წყვეტდა.“თუ თამაშში

მონაწილეობის მიღება ვერ შეძლეს, „შუქურა“ ჩემპიონატიდან მოიხსნება, რაც ძალიან ცუდი იქნება კლუბის მომავლისთვის“ - განაცხადა კლუბის ხელმძღვანელმა მიშა აბაშიძემ. საბოლოოდ, ფედერაციაში მისვლისა და საჩივრის შეტანის შემდეგ, დავალიანება სრულად დაიფარა.

„სამი თვის დავალიანება გვქონდა, ასევე არ აგვიღია ეროვნულ ლიგაში გადასვლის პრემია. ამ მიზეზების გამო გუნდი ფეხბურთელების 70-მა პროცენტმა დატოვა, თუმცა ფედერაციაში იჩივლეს და ხელფასები მაინც აიღეს“, - მითხრა „შუქურას“ ახალგაზრდა თავმდამსხმელმა, გია აფხაზავამ.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში კლუბების ხელმძღვანელობის მიმართ უკმაყოფილებით მისვლის შემდეგ გაირკვა, რომ ფინანსურ პრობლემებში თვითონ ფედერაციაც არის გახვეული. იგივე geo_team წერდა, რომ ევროტურნირზე გამომუშავებული და UEFA-ს მიერ ჩარიცხული თანხა არ მისულა გორის „დილამდე“, დინამოებისა და ქუთაისის „ტორპედომდეც“.

იმისათვის, რომ უკეთ გამერკვია თუ რატომ დაგვიანდა თანხების მიტანა კლუბებამდე, ფეხბურთის ფედერაციას მივმართე 2023 წლის ანგარიშების გამოთხოვნის მიზნით. პასუხი არ დაუბრუნებიათ, ფედერაცია დუმს. ეს ფაქტი კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს, გამჭირვალობის პრობლემას ქართულ ფეხბურთში.

მიუხედავად ამისა, გავესაუბრე გორის „დილას“ ფინანსისტს. „ხელფასების დაგვიანების ბევრი შემთხვევა არ გვქონია, არც ფედერაციაში საჩვრით მისვლა გამხდარა საჭირო, თუმცა ფინანსური პრობლემები მაინც პრობლემებად რჩევა“ - განმიცხადა დავით ნიჟარაძემ. „საერთაშორისო პარტნიორების ყოლა და ფან-კულტურის განვითარება ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორია. მაყურებლის მოზიდვით და ეროვნული ლიგის პოპულარიზაციით არა მარტო აღმოიფხვრება

ფინანსური პრობლემები, არამედ უფრო მეტი ადამიანი დაინტერესდება ლიგის ფეხბურთით, რაც ნამდვილად საჭიროა განვითარებისთვის“.

თბილისური კლუბებიდან, დინამოს გარდა, ფინანსური პრობლემები „იბერია 1999“-ს, ყოფილ „საბურთალოსაც“ აღმოაჩნდა. ვესაუბრე მთავარი მწვრთნელის ასისტენტს, გუგა ნერგაძეს, რომელმაც საუბრისას არსებული პრობლემები დამიდასტურა და მითხრა, რომ კლუბის მხრიდან ხელფასების დაგვიანება ხშირია. „არის შემთხვევები, როდესაც ხელფასს ოთხი-ხუთ დღე აგვიანდება, მაგრამ ეს დამოკიდებულია გუნდის შედეგებზე. თუ გუნდის შედეგი მისაღები არ არის, მფლობელები თანხის ჩარიცხვის ორ კვირიანი დაგვიანებით, ცდილობენ იმოქმედონ მოთამაშეებისა და სტაფის ფსიქოლოგიაზე“. კითხვაზე, თუ რამდენად მნიშვნელოვანია სპონსორების როლი კლუბის ფინანსური სტაბილურობისთვის, გუგამ მიპასუხა : „სპონსორების ყოლა აუცილებელიც კია, რადგან მათ შეუძლიათ გუნდის წახალისება და მათი შედეგების გაუმჯობესებისთვის ხელისშეწყობა. სამწუხაროა ის ფაქტი, რომ საქართველოში სპონსორების შოვნა მხოლოდ ნაცნობობით ხდება. მაგალითად, კლუბის მფლობელს თუ აქვს რაიმე ბრენდი, ის დაასპნსორებს თავისივე კლუბს და ასე ვთქვათ, დაატრიალებს ფულს.“

ქუთაისის „ტორპედო“ ფინანსურ პრობლემებს 2019 წელსაც ებრძოდა. კლუბი იმდენად რთულ მდგომარეობაში იყო, რომ ლაპარაკი მის დაშლასა და სამომავლო ტრანსფერებზე არ წყდებოდა. თუმცა ყოფილმა „საბურთალომ“ ქუთაისურ კლუბს დახმარება შესთავაზა. „ამ კლუბს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ქართული ფეხბურთის ისტორიაში და ამ ისიტორიას სათანადო გაგრძელება სჭირდება“, - განაცხადა 2019 წლის საქართველოს ჩემპიონმა კლუბმა.

რეგიონალური კლუბის ფეხბურთელები უხელფასობის გამო გუნდიდან წასვლას უფრო ადრეც, 2013 წელსაც ფიქრობდნენ. ლანჩხუთის „გურიას“ უმაღლეს ლიგაში

დაბრუნების მერე პრობლემებმა თავი იჩინა. სეზონის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე, სამი თვის დავალიანების გასტუმრების მოთხოვნით, ფეხბურთელებმა უარი თქვეს თამაშზე.

ქალთა საფეხბურთო კლუბ „ლანჩხუთის“ მოთამაშეებიც საუბრობდნენ ფინანსურ კრიზისზე. შეგახსენებთ, რომ „ლანხუთი“ 2019 წლის, საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის ქალთა ლიგის გამარჯვებული გახდა ,ხოლო 2020 წელს, ჩემპიონთა ლიგის ფინალურ ეტაპზე ასპარეზობის უფლება მოიპოვეს. ამის შემდეგ, ინტერვიუში თქვეს, რომ ოთხი თვის ხელფასი არ აუღიათ - „ჰიგიენის რაღაცები არ გვქონდა, რომ აქ წამოვსულიყავით. ორ ფეხბურთელს კი ბუცები არ ჰქონდა“.

გამოსავლის ძიებისას, აუცილებელია გამჭირვალობის გაზრდა, ფეხბურთის ფედერაციის დონეზე. მხოლოდ კომპლექსური მიდგომითაა ქართული ფეხბურთის ფინანსური მდგომარეობის გადაჭრის შესაძლებლობა და შესაბამისად, სპორტული შედეგების გაუმჯობესება.

გამოყენებული ბმულები :

https://www.facebook.com/Geoteamofficial/posts/886350233170107?ref=embed_post

https://for.ge/view/24837/guriadan-wasulebi-pasuxs-fexburTis-federacias-sTxoven.html

https://intermedia.ge/სტატია/113589-სიახლე-ქართულ-ფეხბურთში/68/

https://reginfo.ge/sport/item/20104-4-tvis-xelpasi-ar-mouziat,-or-pexburtels-buzebi-ar-bqonda---lanchxutis-qalta-gundi